



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №15-03/02-01

ქ. თბილისი

15 თებერვალი, 2019 წელი

საქართველოს აგროარული უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭოს და დისციპლინური საბჭოს რეგლამენტის ახალი რედაქციის დამტკიცების თაობაზე

ა(ა)იპ საქართველოს აგროარული უნივერსიტეტის წესდების მე-4 და მე-9 და მე-15 მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს აგროარული უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭო და დისციპლინური საბჭოს რეგლამენტი ახალი რედაქციით (დანართი #1).
2. დამტკიცდეს საქართველოს აგროარული უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭოს დოკუმენტაციის ნიმუშები (დანართი #2, დანართი #3, დანართი #4).
3. ბრძანება ძალაშია გაცნობითანავე.

დანართი 8 ფურცელი

რექტორი



განტანგ ლეჟავა



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭო და დისციპლინური საბჭოს რეგლამენტი

მუხლი 1. დისციპლინური საბჭოს შემადგენლობა

1.1. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლის (შრომით ურთიერთობებში მყოფი პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის მარეგულირებელი აქტების, შრომითი და უნივერსიტეტთან გაფორმებული სხვა კონტრაქტების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან შემდეგი თანამდებობის მქონე პირები:

- 1.1.1. უნივერსიტეტის რექტორი - საბჭოს წევრი, დისციპლინური საბჭოს თავმჯდომარე;
- 1.1.2. უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში - საბჭოს წევრი;
- 1.1.3. უნივერსიტეტის პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში - საბჭოს წევრი;
- 1.1.4. უნივერსიტეტის კანცლერი - დისციპლინური საბჭოს წევრი;
- 1.1.5. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი - დისციპლინური საბჭოს წევრი;
- 1.1.6. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი - დისციპლინური საბჭოს წევრი;
- 1.1.7. აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი - დისციპლინური საბჭოს მოწვეული წევრი;
- 1.1.8. საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი - დისციპლინური საბჭოს მოწვეული წევრი;
- 1.1.9. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი - დისციპლინური საბჭოს მოწვეული წევრი;
- 1.1.10. სადოქტორო სკოლის კოორდინატორი - დისციპლინური საბჭოს მოწვეული წევრი;
- 1.1.11. სტუდენტების დეკანი - დისციპლინური საბჭოს მოწვეული წევრი;
- 1.1.12. საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი - დისციპლინური საბჭოს მოწვეული წევრი;



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

1.1.13. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ(ებ)ის დირექტორ(ებ)ი - დისციპლინური საბჭოს მოწვეული წევრი;

1.1.14. საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი - დისციპლინური საბჭოს მოწვეული წევრი;

1.2. დისციპლინური საბჭო მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტებისა და ამ რეგლამენტის საფუძველზე.

1.3. პირველ მუხლის 1.1.7, 1.1.8, 1.1.9, 1.1.10, 1.1.11, 1.1.12, 1.1.13 და 1.1.14 პუნქტებში აღნიშნული საბჭოს წევრები დისციპლინური საბჭოს წევრად დისციპლინური საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოიწვევა იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს განსახილველი საკითხი ეხება მათ კომპეტენციას.

1.4. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის ფუნქციას ითავსებს, თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირი.

მუხლი 2. უნივერსიტეტის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება ემყარება შემდეგ წესებს

2.1. საკითხის ინიციატორი სამსახურებრივი ბარათით (დანართი #2) მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს და ითხოვს დისციპლინური დარღვევის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების (დანართი #3) მიღებას. საკითხის ინიციატორი სამსახურებრივ ბარათში მიუთითებს დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რომელი აქტის დარღვევის გამო მიიჩნევა აუცილებლად პირის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელებას.

2.2. საკითხის ინიციატორი სამსახურებრივ ბარათთან ერთად რექტორს წარუდგენს დისციპლინური დარღვევის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების გადაწყვეტილების პროექტს (რექტორის ბრძანების პროექტი - დანართი #3). რექტორის ბრძანება პირის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების თაობაზე გადაეცემა დისციპლინური საბჭოს ყველა წევრს და შესაბამის პირს.

მუხლი 3. დისციპლინური საბჭოს სხდომა ტარდება შემდეგი წესების დაცვით

3.1. დისციპლინური საბჭოს წევრი ესწრება და მონაწილეობს საბჭოს სხდომებში, ასევე, გადაწყვეტილებების მიღების მიზნით გამართულ კენჭისყრაში.



3.2. დისციპლინური საბჭოს სხდომა გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მოსაწვევი საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

3.3. საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს დისციპლინური საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - დისციპლინური საბჭოს თავმჯდომარის მიერ უფლებამონაცვლედ განსაზღვრული პირი.

3.4. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით.

3.5. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებაში მონაწილეობას არ იღებს საბჭოს წევრი, თუ იგი ურთიერთდამოკიდებულებაშია პირთან, რომლის საკითხსაც განიხილავს საბჭო. ურთიერთდამოკიდებულების არსებობისას საბჭოს წევრი ნებაყოფლობით აცხადებს თვითაცილებას. საბჭოს წევრ(ებ)ი უფლებამოსილნი არიან ურთიერთდამოკიდებულების არსებობისას შესაბამის წევრს მისცენ აცილება. ურთიერთდამოკიდებულებად განიხილება:

3.5.1. განსახილველი საკითხის შედეგით დაინტერესება;

3.5.2. პირთან ნათესაური ან სხვა ახლო კავშირის არსებობა;

3.5.3. ნებისმიერი სხვა გარემოების ან მდგომარეობის არსებობა, რაც წევრის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველია.

3.6. საკითხის ინიციატორი დისციპლინური საბჭოს თავმჯდომარესთან ათანხმებს სხდომის გამართვის ზუსტ დროსა და ადგილს, ხოლო შემდეგ აღნიშნულს ატყობინებს დისციპლინური საბჭოს წევრებსა და შესაბამის პირს.

3.7. ყველა მტკიცებულება და გარემოება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, სრულად უნდა გამოიკვლიოს დისციპლინურმა საბჭომ.

3.8. დისციპლინური საბჭოს სხდომაზე პირის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს საკითხის ინიციატორს.

3.9. საკითხის ინიციატორი ამზადებს საბჭოს მიერ განსახილველ საკითხს, აგროვებს და ასაბუთებს მტკიცებულებებს და წარუდგენს საბჭოს, განხილვამდე 3 დღით ადრე მაინც.

3.10. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას პირს უფლება აქვს:

3.10.1. წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

3.10.2. დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვაში და ისარგებლოს დაცვის უფლებით;



3.10.3. დისციპლინურ საბჭოს მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

3.10.4. მონაწილეობა მიიღოს დისციპლინური საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

3.10.5. აცილება მისცეს საბჭოს წევრს 4.5 პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

3.11. დისციპლინური საბჭოს სხდომის ოქმს აწარმოებს და ხელმოსაწერად ამზადებს საკითხის ინიციატორი. დისციპლინური საბჭოს ოქმს ხელს აწერს საკითხის ინიციატორი და დისციპლინური საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, დისციპლინური საბჭოს თავმჯდომარის მიერ უფლებამონაცვლედ განსაზღვრული პირი, რომელიც ხელმძღვანელობდა საბჭოს სხდომას.

3.12. დისციპლინური საბჭო უფლებამოსილია აწარმოოს საბჭოს სხდომის ან მისი ნაწილის აუდიო- და ვიდეო ჩაწერა. ჩანაწერი თან ერთვის სხდომის ოქმს.

მუხლი 4. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილების მიღება, გამოცემა და შენახვა ხორციელდება შემდეგი წესების დაცვით:

4.1. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის აქტებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

4.2. ყველა მტკიცებულება, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველია და რომელსაც ემყარება საბჭოს გადაწყვეტილება, უნდა გამოიკვლიოს დისციპლინურმა საბჭომ.

4.3. საკითხის ინიციატორი სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ამზადებს რექტორის ბრძანების ფორმით (დანართი #4) და ხელმოსაწერად წარუდგენს რექტორს.

4.4. რექტორის მიერ ხელმოწერილი ბრძანება რეგისტრირდება და გადაეცემა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს და შესაბამის პირს.

4.5. პირს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს დისციპლინური საბჭოს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, მიღებიდან 1 თვის განმავლობაში.



დანართი #2

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის

რექტორს ბატონ ვახტანგ ლეჟავას

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის

სამსახურებრივი ბარათი

დისციპლინური წარმოების განხორციელების დაწყების შესახებ

ქ. თბილისი

201_ წლის -----

მოგახსენებთ, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის -----

(ფაკულტეტის / საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)

თანამშრომელმა -----

დაარღვია -----

მუხლ(ებ)ის

მოთხოვნები, რაც გამოიხატა პირის მიერ -----



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

გთხოვთ, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭოს და დისციპლინური საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის №15-03/02-01 ბრძანების შესაბამისად, გამოსცეთ ბრძანება დისციპლინური წარმოების განხორციელების დაწყების თაობაზე.

საკითხის ინიციატორი,

/სახელი, გვარი და ხელმოწერა/



ბრძანება №

დისციპლინური წარმოების განხორციელების დაწყების შესახებ

ქ. თბილისი

201_ წლის _____

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის, აგრარული უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭოს და დისციპლინური საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის №15-03/02-01 ბრძანების შესაბამისად,

1. დაწყებულ იქნეს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის _____

(ფაკულტეტის / საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)

თანამშრომლის _____ მიმართ

დისციპლინური წარმოება და დაევალოს დისციპლინურ საბჭოს საკითხის ინიციატორის _____

_____ მიერ წარდგენილი მასალების

სრულყოფილი შესწავლა, საკითხის განხილვა, მხარეთა მოსმენა და გადაწყვეტილების მიღება.

2. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გადაეცეს დისციპლინურ საბჭოს და შესაბამის თანამშრომელს _____.

ვახტანგ ლეჟავა

რექტორი



ბრძანება №

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაცვისრების შესახებ

ქ. თბილისი 201_ წლის _____

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის, აგრარული უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭოს და დისციპლინური საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 15 თებერვლის №15-03/02-01 ბრძანების, ასევე დისციპლინური საბჭოს [201_ წლის _____ # _____] გადაწყვეტილების შესაბამისად,

1. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის _____

(ვაკულტეტის / საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)

თანამშრომლის _____ მიერ [_____] [_____]

მუხლ(ებ)ის დარღვევის გამო მის მიმართ გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომა: [_____].

2. ეს ბრძანება გადაეცეს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს და შესაბამის პირს _____ .

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი #6) მიღებიდან 1 თვის განმავლობაში.

ვახტანგ ლეყავა

რექტორი